



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2165  
27/12/2018

ქალაქი ბათუმი

2165-05-4-201812271542



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის ე.ე ქვეპუნქტის, 86<sup>1</sup>-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ირმა მგელაძე - ადმინისტრაციული ერთეული - სარფი (საბჭოს თავმჯდომარე);
- ბ) თამაზ ფუტკარაძე - ადმინისტრაციული ერთეული - თხილნარი;
- გ) გიული ბასილაძე - ადმინისტრაციული ერთეული - მახინჯაური;
- დ) მანანა დიასამიძე - ადმინისტრაციული ერთეული - ახალშენი;
- ე) ლევან ტარიელაძე - ადმინისტრაციული ერთეული - ფერია;
- ვ) სოლომონ ცინცილაძე - ადმინისტრაციული ერთეული - ორთაბათუმი;
- ზ) ომარ ბერიძე - ადმინისტრაციული ერთეული - ჭარნალი;
- თ) გენადი შაშიკაძე - ადმინისტრაციული ერთეული - მაჭახელა;
- ი) მერი ცინცაძე - ადმინისტრაციული ერთეული - კირნათი;
- კ) ჯამბულ იაკობაძე - ადმინისტრაციული ერთეული - აჭარისწყალი;

ლ) ზურაბ რიჟვაძე - ადმინისტრაციული ერთეული - შარაბიძეები;

მ) ნინო ჩხაიძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის წარმომადგენელი.

2. დამტკიცდეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება დანართი 1-ის შესაბამისად.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მარტის N 310 ბრძანება "ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ".

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს მირზა ბახტაძეს.

6. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

